



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1128

2023 წლის 15 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ
კომისიაში სტაჟირებისა და პრაქტიკის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიაში ერთიანი საკადრო პოლიტიკის გატარების, ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის მუშაობის სურვილის მოტივირების, მათი პროფესიული განვითარების, შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი ინიციატივების რეალიზების ხელშეწყობის, პრაქტიკული გამოცდილების შეძენის, პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 დეკემბრის №79 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში სტაჟირებისა და პრაქტიკის წესი“ თანდართული სახით.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2014 წლის 29 დეკემბრის №623 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში სტაჟირებისა და პრაქტიკის წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - კომისია) სტაჟირებისა და პრაქტიკის წესსა და პირობებს.
2. სტაჟირების/პრაქტიკის დანიშნულებაა უზრუნველყოს კომისიაში ერთიანი საკადრო პოლიტიკის გატარება, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი პროფესიული განვითარება, დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, ჯანსაღი კონკურენციის ფორმირება, კარიერული გეგმების განსაზღვრა, სამსახურებრივი კავშირების დამყარება და თანამშრომლობის დაწყება, სრულყოფილი და საიმედო საკადრო რეზერვის შექმნა.
3. კომისია ზრუნავს ყველა სტაჟიორის/პრაქტიკანტისათვის სათანადო სამუშაო პირობების ხელმისაწვდომობისა და შემდგომი დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების მიცემისათვის.

მუხლი 2.

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სტაჟირება - კომისიაში ამ წესით რეგულირებული ანაზღაურებისგარეშე ან ანაზღაურებადი მოკლევადიანი საქმიანობა;
- ბ) სტაჟიორი - პირი, რომელიც არის საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, ან რომელმაც დაასრულა ეს პროგრამა და ამ წესის საფუძველზე კომისიაში გადის სტაჟირებას;
- გ) პრაქტიკა - კომისიაში ამ წესით რეგულირებული, ანაზღაურებისგარეშე მოკლევადიანი სასწავლო საქმიანობა;
- დ) პრაქტიკანტი - პირი, რომელიც არის საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი და ამ წესის საფუძველზე კომისიაში გადის პრაქტიკას;
- ე) კანდიდატი - პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად მონაწილეობს კომისიაში სტაჟირების შესახებ გამოცხადებულ კონკურსში ან რომლის შესახებაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან მესამე პირის სახელით კომისიაში წარმოდგენილია მოთხოვნა (განცხადება, წერილი) სტაჟირების/პრაქტიკის გავლის თაობაზე;
- ვ) მენტორი - კომისიის აპარატის იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე თანამშრომელი, სადაც სტაჟიორი/პრაქტიკანტი გადის სტაჟირებას/პრაქტიკას და რომელიც სტაჟირების/პრაქტიკის პერიოდში ახორციელებს სტაჟიორის/პრაქტიკანტის მეთვალყურეობას;
- ზ) მესამე პირი - რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აფინანსებს ანაზღაურებად სტაჟირებას;
- თ) დეპარტამენტი - კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

მუხლი 3.

1. ანაზღაურებისგარეშე სტაჟიორთა რაოდენობას ყოველწლიურად განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების წარდგინების საფუძველზე.

2. კომისიაში ანაზღაურებისგარეშე სტაჟიორთა მიღება ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე, ხოლო ანაზღაურებად სტაჟიორთა - მხოლოდ კონკურსის წესით.
3. ანაზღაურებადი სტაჟირების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ მესამე პირის ფინანსები.
4. სტაჟირების/პრაქტიკის პროცესის საერთო კოორდინაციასა და სრულ მონიტორინგს ახორციელებს დეპარტამენტი.

თავი II.

ანაზღაურებადი სტაჟირების კონკურსი

მუხლი 4.

1. მესამე პირის დაინტერესებისა და მოთხოვნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოაცხადოს კონკურსი ანაზღაურებადი სტაჟირების შესახებ, რის თაობაზეც ინფორმაცია განთავსდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე.
2. კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) კონკურსის თემატიკას;
 - ბ) კომისიის აპარატის იმ სტრუქტურული ერთეულის დასახელებას, სადაც ცხადდება კონკურსი.
3. დასაშვებია კონკურსის შესახებ სხვა ინფორმაციის გამოქვეყნებაც.
4. კონკურსისა და კანდიდატთა მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება ad hoc სტაჟირების საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.
5. სტაჟირების საკონკურსო კომისიაში უნდა შედიოდნენ დეპარტამენტის დირექტორი და იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელშიც უნდა შეირჩეს სტაჟიორი.
6. სტაჟირების საკონკურსო კომისია კონკურსს ატარებს ორ ეტაპად, რომელთაგან პირველი ეტაპია წარმოდგენილი განაცხადების განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა-გადარჩევა, მეორე - გასაუბრება. საჭიროების შემთხვევებში კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია, დაამატოს მესამე ეტაპი - ზეპირი დავალება ან წერილობითი ტესტირება.
7. კონკურსი ტარდება გამოცხადებიდან არა უადრეს 30 დღისა.

მუხლი 5.

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა დეპარტამენტს უნდა წარუდგინოს:
 - ა) განაცხადი (დანართი №1);
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი ან ცნობა საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ;
 - დ) ავტობიოგრაფია (CV);
 - ე) ერთი ფოტოსურათი (3X4).
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების მიღების ვადა შეადგენს არაუმეტეს 10 დღეს. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი განაცხადი არ მიიღება.

მუხლი 6.

3. სტაჟირების საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილეობისთვის საბუთების მიღების ვადის დასრულებიდან 5 დღეში ამოწმებს წარდგენილი საბუთების შესაბამისობას ამ წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან და ავლენს კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასულ კანდიდატებს.
4. კანდიდატს გასაუბრების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება მის ჩატარებამდე 2 დღით ადრე მაინც, სატელეფონო ზარის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
5. კონკურსის თითოეული ეტაპის დასრულებიდან გონივრულ ვადაში კანდიდატს ეცნობება შედეგი.

6. კონკურსის მომდევნო ეტაპზე დაიშვება კანდიდატი, რომელიც წარმატებით გადალახავს წინა ეტაპს.

მუხლი 7.

1. კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს სტაჟირების საკონკურსო კომისია აფასებს ინდივიდუალურად (დანართი №2), 3-ბალიანი სისტემით, შემდეგნაირად:

- ა) 1 - მიუღებელი;
- ბ) 2 - საშუალო;
- გ) 3 - კარგი.

2. სტაჟირების საკონკურსო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად მითითებული კანდიდატთა ქულები ჯამდება კანდიდატთა ჯამური შეფასების ფორმაში (დანართი №3).

3. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, სტაჟირების საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარეს წარედგინება საუკეთესო კანდიდატთა მონაცემები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საკონკურსო ეტაპები, მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, კომპეტენციების, ცოდნისა და მოტივაციის შეფასების საფუძველზე.

4. კომისიის თავმჯდომარე სტაჟირების საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან საუკეთესო შედეგების მქონე პირებს ნიშნავს სტაჟიორებად კომისიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

მუხლი 8.

1. კონკურსი ითვლება ჩაშლილად და აღნიშნულის შესახებ ფორმდება ოქმი, თუ:

- ა) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განაცხადი;
- ბ) სტაჟირების საკონკურსო კომისიის მიერ დასანიშნად წარდგენილი არ იქნა არც ერთი კანდიდატი;
- გ) კონკურსში გამარჯვებული ყველა კანდიდატი უარს იტყვის სტაჟირებაზე.

2. თუ კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატი უარს იტყვის სტაჟირებაზე, სტაჟირების საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, კომისიის თავმჯდომარეს წარუდგინოს რიგით მომდევნო საუკეთესო შეფასების მქონე კანდიდატი.

თავი III.

სტაჟირება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმებით

მუხლი 9.

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმების არსებობის შემთხვევაში კომისიაში სტაჟიორი მიიღება კონკურსის გარეშე.

2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შეთანხმება გულისხმობს კომისიასა და შესაბამის დაწესებულებას შორის სტუდენტთა სტაჟირების თაობაზე მემორანდუმის ან წერილების ურთიერთგაცვლით ოფერტისა და აქცეპტის არსებობას.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კომისიის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგენს სტაჟირების მსურველ კანდიდატთა სიას ამ წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული დოკუმენტებით და სასურველი სტრუქტურული ერთეულების მითითებით.

4. დეპარტამენტი უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღებას და ამ წესის მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან მათი შესაბამისობის შემოწმებას.

5. კომისიის თავმჯდომარე ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, დეპარტამენტის წარდგინებით, ბრძანებით ნიშნავს სტაჟიორებს კომისიის აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში.

თავი IV. პრაქტიკა

მუხლი 10.

1. პრაქტიკანტად მიიღება პირი საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე.
2. შესაბამისმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ კომისიაში უნდა წარადგინოს:
 - ა) წერილობითი მიმართვა;
 - ბ) პრაქტიკანტის ავტობიოგრაფია (CV);
 - გ) პრაქტიკანტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;
 - დ) პრაქტიკანტის ერთი ფოტოსურათი (3X4).
3. პრაქტიკა კომისიაში ანაზღაურების გარეშეა.

თავი V.

მენტორი. სტაჟიორის/პრაქტიკანტის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 11.

1. სტაჟიორს/პრაქტიკანტს სტაჟირების/პრაქტიკის პერიოდში, დეპარტამენტის დირექტორსა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შეთანხმებით, ენიშნება მენტორი.
2. მენტორი ვალდებულია სტაჟიორს/პრაქტიკანტს:
 - ა) გაუწიოს საქმიანობის კოორდინაცია და შეუდგინოს თემატიკა;
 - ბ) გაუნაწილოს/განუსაზღვროს დავალებები, შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, გააცნოს დავალებების შესრულების სპეციფიკა, მნიშვნელობა, მოსალოდნელი შედეგები;
 - გ) გაუწიოს მონიტორინგი სამუშაოს შესრულების პროცესში და შეაფასოს შესრულებული სამუშაო;
 - დ) გაუზიაროს რეკომენდაციები/ინსტრუქციები, მისცეს უკუკავშირი და იზრუნოს მის პროფესიულ განვითარებაზე, საჭიროებისამებრ, ასევე მიაწოდოს შესაბამისი თეორიული მასალა;
 - ე) შეუქმნას შესაბამისი გარემო, სათანადო პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით.
3. მენტორი პირადად აკონტროლებს სტაჟიორის/პრაქტიკანტის მიერ გაწეულ მუშაობას, პერიოდულად აძლევს დავალებებს და კოორდინაციას უწევს მის საქმიანობას. მენტორი ახორციელებს სტაჟირების/პრაქტიკის მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგს და სტაჟირების/პრაქტიკის დასრულების შემდეგ ავსებს სტაჟიორის/პრაქტიკანტის შეფასების ფორმას (დანართი №5), რომელიც წარედგინება დეპარტამენტს. შეფასების ფორმას ხელს აწერენ მენტორი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
4. მენტორის ან დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, სტაჟიორის/პრაქტიკანტის თანხმობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მიერ სტაჟიორი/პრაქტიკანტი შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა სტრუქტურულ ერთეულში.
5. მენტორი ან დეპარტამენტი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველის არსებობისას, მოითხოვოს სტაჟირების/პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტა.

მუხლი 12.

1. მენტორის/დეპარტამენტის თანხმობით სტაჟიორს/პრაქტიკანტს უფლება აქვს:
 - ა) გაეცნოს კომისიისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომლებიც ამ სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება;
 - ბ) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებითა და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით

დადგენილ მოთხოვნებს;

გ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს კომისიისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

დ) დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას ისარგებლოს კომისიის თანამშრომელთა კვალიფიციური ცოდნით.

2. მენტორის მითითებით სტაჟიორი/პრაქტიკანტი ასრულება ცალკეულ დავალებებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობასთან დაკავშირებით.

მუხლი 13.

1. სტაჟიორი/პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს ამ წესითა და კომისიის სხვა შიდამარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით;

ბ) დადგენილ ვადაში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომლებიც მას დაეკისრა კომისიის თავმჯდომარის, კომისიის წევრის ან მენტორის მიერ;

გ) მუდმივი კონტაქტი იქონიოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებთან;

დ) სტაჟირების/პრაქტიკის ადგილზე გამოცხადდეს და დატოვოს სტაჟირების/პრაქტიკის ადგილი კომისიის შინაგანაწესით განსაზღვრულ სამუშაო საათებში;

ე) დაიცვას კონფიდენციალურობის წესი.

2. კომისიის თავმჯდომარის ან დეპარტამენტის დირექტორისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით, სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე სტაჟიორს/პრაქტიკანტს, მოთხოვნის შემთხვევაში, სასწავლო პროცესთან სტაჟირების/პრაქტიკის ინტეგრირების მიზნით, შესაძლოა დაუდგინდეს კომისიაში გამოცხადებისა და ყოფნის ინდივიდუალური რეჟიმი.

3. სტაჟიორი/პრაქტიკანტი სტაჟირების/პრაქტიკის დაწყებისას ხელს აწერს კომისიის შიდამარეგულირებელი აქტების გაცნობის შესახებ ფორმას (დანართი №4).

თავი VI.

სტაჟირების/პრაქტიკის ვადა და ვადამდე შეწყვეტა

მუხლი 14.

1. სტაჟირების ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 თვიდან 6 თვემდე ვადით.

2. პრაქტიკის ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 45 დღით.

3. სტაჟირების ვადის გაგრძელება შესაძლებელია კომისიისა და სტაჟიორს ან კომისიისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის შეთანხმებით, მაგრამ არაუმეტეს 3 თვის ვადისა.

4. სტაჟირების ვადის გაგრძელება დასაშვებია, თუ სტაჟიორი პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და სტაჟირების დასრულების შემდეგ მენტორისა და დეპარტამენტისაგან იღებს დადებით შეფასებას.

5. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტაჟიორს ეძლევა სერტიფიკატი.

6. კომისია უფლებამოსილია პრაქტიკის დასრულების შემდეგ პრაქტიკანტზე გასცეს პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი ცნობა.

7. სტაჟირების/პრაქტიკის გავლა არ ქმნის სტაჟიორის/პრაქტიკანტის კომისიაში დასაქმების წინაპირობას და კომისიას არ აკისრებს მსგავს ვალდებულებას.

8. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, წარმატებულ ანაზღაურებისგარეშე სტაჟიორთან არანაკლებ სამი თვის გასვლის შემდეგ შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება ანაზღაურებადი სტაჟირების შესახებ, თუ აღნიშნულის თაობაზე წარმოდგენილია მესამე პირის დაინტერესება და მოთხოვნა.

მუხლი 15.

1. სტაჟირების/პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სტაჟირების/პრაქტიკის ვადის გასვლა;
 - გ) სტაჟირების/პრაქტიკის პერიოდში არასაკმაყოფილო მიზეზით, ზედიზედ 5 დღის განმავლობაში სტაჟირების/პრაქტიკის გავლის ადგილას გამოუცხადებლობა;
 - დ) დავალების არაერთგზის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
 - ე) კომისიის შინაგანაწესისა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტების დარღვევა;
 - ვ) სტაჟიორის კომისიის აპარატში ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნა და მასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება;
 - ზ) მესამე პირის წერილობითი მოთხოვნისას, როდესაც იგი უარს აცხადებს ანაზღაურებადი სტაჟირების შემდგომ დაფინანსებაზე;
 - თ) საქართველოს კანონმდებლობით და/ან კომისიის და შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
2. სტაჟირების/პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში სტაჟიორი/პრაქტიკანტი 3 დღის ვადაში კომისიის შესაბამის უფლებამოსილ პირს აბარებს იმ მატერიალურ სიკეთეს, რაც მას გადაეცა სტაჟირების/პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებით.
3. გადაწყვეტილება სტაჟირების/პრაქტიკის ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ ფორმდება კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით, დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე.

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 16.

1. კომისიაში სტაჟირებისა და პრაქტიკის გავლა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ.
2. ამ წესის გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხდება კომისიის თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

განაცხადი
საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ
კომისიაში სტაჟირების გავლის შესახებ

<p>კომისიის სტრუქტურული ერთეული, რომელშიც თქვენ გასურთ გაიაროთ სტაჟირება:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> ბუნებრივი გაზის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> წყალმომარაგების დეპარტამენტი <input type="checkbox"/> ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> იურიდიული დეპარტამენტი <input type="checkbox"/> რეგულირების განვითარებისა და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> მომხმარებელთა საჩივრების დეპარტამენტი <input type="checkbox"/> ბაზრის მონიტორინგის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> მომსახურების კომერციული ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი <input type="checkbox"/> ადმინისტრაციული დეპარტამენტი <input type="checkbox"/> შესყიდვების, ქონების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი <input type="checkbox"/> საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტი <input type="checkbox"/> კომპიუტერულ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტი

პირადი ინფორმაცია	
სახელი, გვარი	
დაბადების ადგილი და თარიღი	
პირადი №	
პირადობის მოწმობის / პასპორტის №	
მოქალაქეობა	
იურიდიული და ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი	
მობილურის ნომერი	
ელ-ფოსტა	
ოჯახური მდგომარეობა	

ხელმოწერა _____

თარიღი _____

სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის
კანდიდატთა ინდივიდუალური შეფასების ფორმა

	კანდიდატის სახელი, გვარი	პროფესიული უნარების შეფასება ¹	შემფასებლის კომენტარი
1			
2			
3			
4			
5			
6			
7			

შემფასებლის სახელი, გვარი:

ხელმოწერა:

1- მიუღებელი; 2 - საშუალო; 3 - კარგი;

სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის
კანდიდატთა ჯამური შეფასების ფორმა

№	კომისიის წევრი	კანდიდატი				
1						
2						
3						
4						
5						
შეფასების ჯამური ქულა						
საშუალო არითმეტიკული						

ხელწერილი

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შიდამარეგულირებელი აქტების გაცნობის შესახებ

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) თავმჯდომარის 2023 წლის 10 მაისის №__ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში სტაჟირების წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, გავეცანი შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

1. კომისიის დებულება
2. შრომის შინაგანაწესი
3. სტაჟირების წესი
4. საქმისწარმოების წესი
5. კონკურსის ჩატარების დებულება
6. კომისიის აპარატში დასაქმებულ პირთა დაწინაურების, გადაყვანის, წახალისებისა და პრემირების წესი
7. სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების წესი
8. კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის ეთიკის კოდექსი
9. კომისიასა და კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში დასაქმებულთა ჩაცმის კოდექსი
10. შრომის უსაფრთხოების წესი
11. გენდერული თანასწორობის სტრატეგია
12. ადამიანური რესურსების მართვის (HR) პოლიტიკა
13. მრავალფეროვნების, თანასწორობის და ინკლუზიის (DEI) პოლიტიკა.

რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

ხელმოწერა

„_____“ _____ „20__ წ.

სტაჟიორის/პრაქტიკანტის შეფასების ფორმა

სტაჟიორის/პრაქტიკანტის სახელი, გვარი					
სტრუქტურული ერთეული					
მენტორის სახელი, გვარი, თანამდებობა					
№	შეფასების კრიტერიუმები	მიუღებელი (1)	საშუალო (2)	კარგი (3)	ძალიან კარგი (4)
1	პუნქტუალობა/დისციპლინა/ორგანიზებულობა				
2	შესაბამის სფეროში თეორიული ცოდნის დონე				
3	დავალების შესრულების ხარისხი				
4	დავალების დადგენილ ვადაში შესრულება				
5	დამოუკიდებლად მუშაობის უნარი				
6	გუნდური მუშაობის კულტურა				
7	პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულობა				
8	ტექნიკური უნარ-ჩვევები				
9	ინიციატივის გამოვლენა				
10	კრიტიკული აზროვნება/ანალიზის უნარი				
11	კომუნიკაბელურობა				
საბოლოო ქულა (საშუალო არითმეტიკული)					

მენტორის კომენტარები (დეტალური კომენტარი სტაჟიორის/პრაქტიკანტის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით (სავალდებულო)):

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კომენტარები (ნებაყოფლობითი):

მენტორი: _____

თარიღი

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი: _____

თარიღი